**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17**

**გამარტივებული შესყიდვა**

**ქ. თერჯოლა** **8 ივნისი 2022 წ.**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ა(ა)იპ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს, **დირექტორი ნინო ოქრუაძე** (იურიდიული მისამართი: თერჯოლა კოსტავას ქ №4 ფაქტიური მისამართი: თერჯოლა შოთაძის ქ №3 **ს/კ 231949407** ანგ:№ GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22) შემდგომში „შემსყიდველი" და მეორე მხრივ შპს რაპაკა, დირექტორი კახაბერ გვეტაძე ს/კ 412704505 (მისამართი ქ. ქუთაისი წერეთლის №35-ისა და ჯიბლაძის №2-ის კუთხე, თიბისი ბანკი, ბანკის კოდი TBCBGE22 ანგ. № GE37TB7302436070100001 ) შემდგომში „მიმწოდებელი", შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში- „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მომწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში „შემსყიდველი") – ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. "მომწოდებელი" – ნიშნვს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" – ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6 „მომსახურება"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდები

**2.1** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მოსწავლეთა ინტელექტუალური კლუბის „უხილავი ხილულის" ღონისძიებისათვის, „ ქართული კინო თაობებს აერთიანებს" გამარჯვებული გუნდისათვის 1 ცალი სასაჩუქრე –ჯილდოს შესყიდვა.
2.3 კლასიფიკატორის კოდი:
– CPV18530000 – საჩუქრები და ჯილდოები.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება:

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 50.00 (ორმოცდაათი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობა:

4.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია - მისაწოდებელი საქონლის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.
4.2 „შემსყიდველი" ვალდებულია: – უზრუნველყოს „მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

4.3 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია: – მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია: – დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები:

ა) მიაწოდოს „შემსყიდველს" 1 ცალი სასაჩუქრე - ჯილდო საბაზრო ფასების შესაბამისად.

ბ) მიწოდებული საქონელი აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს.

გ) უზრუნველყოს დეფექტების აღმოფხვრა და საჭიროების შემთხვევაში საქონლის შეცვლა.

## 5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი წერეთლის №35-ისა და ჯიბლაძის №2-ის კუთხე..
5.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი საქონელი 2022 წლის 10 ივნისის ჩათვლით. .

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, საქონლის მიწოდების შემდეგ.
6.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიმწოდებელსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს შორის სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ფაქტიური შესრულების შესაბამისად. .
6.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.
6.4 შესყიდვის ობიექტის / საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის, სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი.

## 7. ანგარიშსწორება:

7.1 „შემსყიდველი" „მიმწოდებელს" მიწოდებული საქონლის ღირებულებას აუნაზღაურებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
7.2 ანგარიშსწორებისათვის გამოიყენება უნაღდო ფორმა (გადარიცხვა) ლარში.
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- წინამდებარე ხელშეკრულება;
- სასაქონლო ზედნადები;
- მიღება-ჩაბარების აქტი.

## 8. გადასახადები და დაბეგვრა:

8.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები:

9.1 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ,
ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

## 10. საჯარიმო სანქციები:

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეები ჯარიმდებიან ხელშეკრულების ფასის 1 (ერთი) %-ით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 11. ფორს-მაჟორი:

11.1 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
11.2 ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან ხელშეკრულების შესრულების შეფერხება არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

## 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა:

12.1 ხელშეკრულების პირობების (მათ შორის: ფასის) გადასინჯვა შესაძლებელია მხოლოდ შემსყიდველის ინიციატივით, მისაწოდებელი საქონლის დასახელების ცვლილების შემთხვევაში.
12.2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

## 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა:

13.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 10 ივლისამდე.

## 15. სხვა პირობები:

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.

16. რეკვიზიტები და ხელმოწერები:

*„შემსყიდველი“:*

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი
იურ მისამართი: თერჯოლა კოსტავას ქ №4
ფაქტიური მისამართი: თერჯოლა შოთაძის ქ №3
**ს/კ 231949407**
ანგ: №: GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა : TRESGE22

**დირექტორი: ნინო ოქრუაძე**

Nino Okruadze 21001000334
Digitally signed by Nino Okruadze
Date: 2022.06.08 15:38:50

Out-of-school educational establishment-the municipal center of social security, civic learning and esthetic development for terjola youth – pupils.
Digitally signed by Out-of-school educational establishment-the municipal center of social security, civic learning and esthetic development for terjola youth – pupils.
Date: 2022.06.08 15:34:36 +04'00'

*„მიმწოდებელი“:*

შპს რაპაკა
ს/კ 412704505
მისამართი: ქ. ქუთაისი წერეთლის №35-ისა და ჯიბლაძის №2-ის კუთხე
თიბისი ბანკი
ბანკის კოდ TBCBGE22
ანგ. № GE37TB7302436070100001
**დირექტორი: კახაბერ გვეტაძე**

Kakhaberi Gvetadze 60002020439
Digitally signed by Kakhaberi Gvetadze
Date: 2022.06.08 15:46:52